



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 138

რუსთავი

18.09.2020წ.

"სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე" სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის N44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი მოდუსის წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის, სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2019 წლის 05 აპრილის N985 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი მოდუსის ადამიანური რესურსების მართვის პროცედურის“ და სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N121 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს N121 ბრძანების მე-15 პუნქტში და კონკურსის დასრულების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით;
2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს აღნიშნული ინფორმაციის გადაგზავნა დასაქმების ვებ. გვერდის ელ. ფოსტაზე;
3. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს განახლებული განცხადების განთავსება კოლეჯის ვებ-გვერდზე და კოლეჯის სოციალურ ქსელში;
4. ბრძანება გასაცნობად გადაეგზავნოს დირექტორის მოადგილეებს, იურისტს, შესყიდვების მენეჯერს, ბუღალტერს, IT სპეციალისტს;
5. ბრძანება ძალაში შედის გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის N96).

კარლო კერვალიშვილი

დირექტორი

